

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი
ბრძანება №14.14203431

ქ. ბათუმი, 08 დეკემბერი, 2020წ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო
ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის, სამოქალაქო ინიციატივების, რეკომენდაციების, მოსაზრებების, რჩევების შემუშავებისა და წარდგენის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 86¹ მუხლის, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 5 თებერვლის N532 ბრძანებით დამტკიცებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების“ შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეიქმნას ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო (შემდგომში - საბჭო) შემდეგი შემადგენლობით:

- | | |
|----------------------|--|
| ა) ნინო ინაიშვილი | - საზოგადოება „ბათომი“-ს დამფუძნებელი და გამგეობის თავმჯდომარე; განათლების საერთაშორისო ცენტრის ბათუმის ოფისის ხელმძღვანელი; |
| ბ) ნათია აფხაზავა | - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის დირექტორი; |
| გ) ლაშა ნაკაშიძე | - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში - UNDP-GEF პროექტის „მწვანე ქალაქები: მდგრადი ინტეგრირებული ტრანსპორტი ქალაქ ბათუმისა და აჭარის რეგიონისათვის“ ხელმძღვანელი; |
| დ) მაყვალა კვირიკაძე | - შპს „მაკო“-ს დამფუძნებელი; აჭარის ქალ ბიზნესმენტა ასოციაციის თავმჯდომარე; |
| ე) თამაზ თურმანიძე | - შპს „რუსული რეგისტრი ვესტჯეორჯია“-ს დირექტორი; აჭარის ლოჯისტიკის, ტრანსპორტისა და გადამზიდავთა ასოციაციის თავმჯდომარე; |
| ვ) რამინ მაჭარაშვილი | - ახალგაზრდული ორგანიზაცია „ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“ დამფუძნებელი, გამგეობის წევრი; |
| ზ) დავით ქობულაძე | - შ.რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და ჯანდაცვის ფაკულტეტის მედიცინის მე-5 კურსის სტუდენტი; |

- თ) ალექსანდრე შერვაშიძე - სსიპ სასწავლო უნივერსიტეტის ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტი;
- ი) ციური ქათამაძე - სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
- კ) მანუჩარ ლორია - სსიპ სასწავლო უნივერსიტეტის ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის მოადგილე;
- ლ) თამილა მეიშვილი - დრამისა და კინოს მსახიობი;
- მ) რუსუდან შავიშვილი - აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი;
- ნ) თამარ გუდავა - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის უფროსი;
- ო) ირმა აფხაზავა - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტის უფროსი.

2. საბჭოს უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 5 თებერვლის N532 ბრძანებით დამტკიცებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულებით“.

3. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

(დროებით მოვალეობის შემსრულებელი)